

შპს პროგრესი 2002

ფინანსური მდგომარეობა 31/12/2024-ის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	31-12-24	31-12-23
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	295931	254537
სავაჭრო მოთხოვნები	7	166573	200911
გადახდილი ავანსები		32253	11168
სასაქონლო მატერიალური მარაგები		670967	621133
სხვა მიმდინარე აქტივები		6442	7323
სულ მოკლევადიანი აქტივები		1172166	1095072
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	8	470	636
ძირითადი საშუალებები	9	266981	248897
სულ გრძელვადიანი აქტივები		267451	249533
სულ აქტივები		1439617	1344605
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	10	5068	4553
საგადასახადო ვალდებულებები		11884	16204
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		212	600
სულ ვალდებულებები		17164	20757
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1420453	1321248
სულ საკუთარი კაპიტალი		1422453	1323248
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1439617	1344005

შპს პროგრესი 2002-ის დირექტორი

ნინო ბურდულაძე

ბუღალტერი

დავით პასიკაშვილი

შპს პროგრესი 2002
თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024

შენიშვნები

		31-12-24	31-12-23
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	1,286,113	1,082,470
სხვა შემოსავალი	14	5,049	4,131
სულ შემოსავალი		1,291,162	1,086,601
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება		(194,445)	(214,140)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(411,781)	(346,923)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(9,730)	(9,051)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(132,923)	(137,371)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	(61,657)	(4,499)
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(65,632)	(39,009)
სულ ხარჯები		(876,168)	(750,993)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		414,994	335,608
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,323,248	1,208,692
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(315,789)	(221,052)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,422,453	1,323,248

შპს პროგრესი 2002-ის დირექტორი

ნინო ბურდულაძე

ბუღალტერი

დავით პასიკაშვილი

29/09/2025

შპს „პროგრესი 2002“ (ს/ნ 208217874)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „პროგრესი 2002“ (ს/ნ 208217874) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2002 წლის 25 აპრილს. მისამართი: თბილისი, ორხევი მერაბ კოსტავას 16ა დირექტორი: ნინო ბურდულაძე

დამფუძნებლები და წილთა გადანაწილება: 01013017678-მერაბი ბურდულაძე 34% , 01030019366-ნიკოლოზ ალავიძე 33% 01030048928-იური ტერტეროვი 33%

შპს „პროგრესი 2002“-ის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

-საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

-საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;

-ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკიდან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

4. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, შემოსავლები აღიარდება როდესაც:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

-შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

-მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

-შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ

ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია

აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის

კურსის შესაბამისად. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი

კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით. კურსთაშორის სხვაობები

აისახება მოგების და ზარალის შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში

						2024	2023
ნადდი ფული სალაროში							130
ეროვნული ვალუტა ბანკში						263192	182240
უცხოური ვალუტა ბანკში დოლარი(ნაჩვენებია ლარების ექვივალენტში)	31/12/2023 კურსი 2.6894	31/12/2024 კურსი 2.8068			32739		55934
უცხოური ვალუტა ბანკში ევრო(ნაჩვენებია ლარების ექვივალენტში)	31/12/2023 კურსი 2.9753	31/12/2024 კურსი 2.9306					16233
						295931	254537

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყისი აღიარება ხდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა). ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდია საშუალო შეწონილი.

7. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თავდაპირველი აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით. სავაჭრო მოთხოვნები 2024- 166573ლარი. 2023-200911ლარი.

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თვითღირებულება	არამატერიალური აქტივები
ნარჩენი ღირებულება 31-12-2023	635.17
შემოსვლა	
გასვლა	
დაგროვილი ცვეთა	1008.28
წლიური ცვეთა	164.35
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	
ნარჩენი ღირებულება 31-12-2024	470.82

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. მათი ღირებულების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. მოხმარებისთვის განკუთვნილი საკანცელარიო, ერთჯერადი გამოყენების და სხვა დამხმარე მასალები აღირიცხება სხვა მიმდინარე აქტივებში ან შესყიდვისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში.

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნარჩენი ღირებულება 31-12-2022	118173.66	68850.29	1103.98	8973.15	8949.75	2186	52151.79	260388.6
შემოსვლა				411.02	449.15			
გასვლა					11.23		3465.8	
დაგროვილი ცვეთა		8762.65	124.95	3086.27	7040.57	2463.33	34352.63	55830.4
წლიური ცვეთა		1552.26	24.58	1142.36	1599.04	464.93	4091.95	8875.12
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა								
ნარჩენი ღირებულება 31-12-2023	118173.66	67298.03	1079.4	8241.81	7788.63	1721.07	44594.04	248896.6
შემოსვლა	1525.42			3332.18	1375.51		21416.23	27649.34
გასვლა					44.92			
დაგროვილი ცვეთა		10314.91	149.53	3174.1	8639.61	2928.26	33912.38	59118.79
წლიური ცვეთა		1552.26	24.58	1290.04	1599.04	464.93	4589.33	9520.18
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა								
ნარჩენი ღირებულება 31-12-2024	119699.08	65745.77	1054.82	10283.95	7520.18	1256.14	61420.94	266980.9

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

		2023	2024
სავაჭრო ვალდებულებები		4553	5068

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

12. ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. მომსახურების ვადის განსაზღვრა-შეფასება ხდება ხელმძღვანელობის მიერ, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით სასარგებლო მომსახურების ვადები ძირითად საშუალებებზე:

- შენობა ნაგებობები-50წელი
- მანქანა დანადგარები-10წელი
- საოფისე აღჭურვილობა-10წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი-10წელი
- სატრანსპორტო საშუალებები-20წელი
- არამატერიალური აქტივები-10წელი

13. ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია, სესხების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაფასდება ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, კურსთაშორის სხვაობა აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში

14. შემოსავლები

					2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან					1286113.2	1082470
საპროცენტო შემოსავალი					4301.56	2554.37
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი					748.41	1578
					849216.43	1086602

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

								2024	2023
საკანცელარიო ხარჯი								94.98	602.29
ძირითადი საშუალების რემონტი								1686.9	1971.65
დამხმარე მასალების დანახარჯი/შეძენა								3978.22	3604.89
მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯი(ასფალტის დაგებაზე გაწეული ხარჯი)								18190.7	21843.22
კომუნალური								13706.7	9823.21
საწვავის ხარჯი								35591.8	35921.28
სატენდერო საკომისიო								56.9	206.9
პროგრამის განახლება								269.49	
მომსახურების ანაზღაურება								3188.78	5823.73
ოფისის დასუფთავების ხარჯი								17.79	
იურიდიული მომსახურების ხარჯი									1500
საპენსიო გადასახადი								6595.34	5235.76
კომუნიკაციის ხარჯები								5904.39	6242.55
უბედური შემთხვევის დაზღვევა								220	145
საკონსულტაციო ხარჯი								168	168
ავტომობილებზე გაწეული ხარჯი								12674.8	14495.7
ქონების გადასახადი								2149.44	2144.46
საბუღალტრო მომსახურება								25751	25233
უსაფრთხოების საშუალებები								29.66	943.68
საოფისე ინვენტარის მოვლის ხარჯები								219.23	661.04
ბანკის საკომისიო								760.01	804.58
პერსონალის აღჭურვილობა/ფორმები								1668.98	
სულ								132923	137370.9

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

								2024	2023
არასაოპერაციო ზარალი(კურსთამორის სხვაობიდან მიღებული)								2756.51	486.72
ჯარიმები								2581.46	243.16
სხვა არასაოპერაციო ხარჯები									3,769.49
საქონლის/ნედლეულის დანაკლისი								56319.59	
სულ								61657.56	4499.37

17. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯად აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, ხოლო საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არაეკონომიკურ ხარჯებზე დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი აისახება არასაოპერაციო ხარჯებში.

გაცემულ დივიდენდზე გადახდილი მოგების გადასახადი:

	2023	2024
მოგების გადასახადის ხარჯი	(39009)	(65632)

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანგარიშგება დამტკიცებულია წარსადგენად 29/09/2025-ში

ბუღალტერი:

დავით პასიკაშვილი

დირექტორი:

ნინო ბურდულაძე